ქ.ბათუმი

შპს „ ბათუმის მომავლის სკოლა“

(კერძო სკოლა)
წ ე ს დ ე ბ ა

2019წ

მუხლი 1.

1. 1 **შპს „ ბათუმის მომავლის სკოლა**“ (შემდგომში - შპს „მომავლის სკოლა” კერძო სკოლა) დაფუძნებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და იგი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, “მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის შინაგანაწესის, ამ წესდებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

1.2 შპს „ბათუმის მომავლის სკოლა“ (კერძო სკოლას) აქვს დამოუკიდებელი ატრიბუტიკა (ლოგო, სკოლის ამსახველი საქმიანობის სხვა დოკუმენტაცია ბლანკიანი ქაღალდი, ბალანსი, მრგვალი ბეჭედი და საბანკო ანგარიშები.

1.3 დაწესებულება უფლებამოსილია, თავისი სახელით დადოს გარიგებები, იტვირთოს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში;

1.4 დაწესებულების ურთიერთობები მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან რეგულირდება ხელშეკრულებებით, სკოლის შინაგანაწესით და ამ წესდებით;

1.5 დაწესებულების შიდაორგანიზაციული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანა-წესით და ამ წესდებით;

1.6 საზოგადოების იურიდიული მისამართია: **ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა #38**

1.7 **საზოგადოების დამფუძნებელია: 100 % წილით -ქალბატონი ცირა ქასრაძე დაბადებული 1965 წლის 13 აგვისტოს, დაბადებული ლანჩხუთი, პირადი #61001005626, რეგისტრირებული მისამართზე ბათუმი, ზუბალაშვილის 38.**

1.8 საზოგადოების სახელწოდებაა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბათუმის მომავლის სკოლა“ (შპს „ბათუმის მომავლის სკოლა“ კერძო სკოლა)**

მუხლი 2. ძირითადი მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი:

1. დაწესებულება ასრულებს დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, აქედან გამომდინარე დაწესებულების ძირითადი მიზნებია:

ა) მოსწავლეთა მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება;

ბ)მოსწავლეთა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი თვითრეალიზაციისა და თვითგამორკვევისთვის;

ცირა ქასრაძე

გ) სამოქალაქო ცნობიერების, კანონმორჩილების, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების, ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემა;

2. ძირითადი მიზნების მისაღწევად დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამოუკიდებლად შეიმუშაოს, მიიღოს და დანერგოს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) დამოუკიდებლად შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო რეჟიმი და საგაკვეთილო ცხრილი ეროვნული სასწავლო გეგმის გთვალისწინებით;

გ) შეარჩიოს სასწავლო–აღმზრდელობითი საშუალებები, მეთოდები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სასკოლო თვალსაჩინოებები;

დ)დანერგოს მოსწავლეთა შეფასების სისტემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული სტანდარტების გათვალისწინებით;

ე) განახორციელოს დამატებითი საგანმანათლებლო და სახელმწიფო პროგრამები და შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება.

მუხლი 3.დაწესებულების სტრუქტურა და მართვა

1. დაწესებულება იმართება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, სკოლის შინაგანაწესით, ამ წესდებით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით;

2. სკოლა ახორციელებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების პროგრამას განათლების სამივე საფეხურზე;

3. სწავლა/სწავლებისა და აღზრდის პროგრამების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, შესაძლებელია სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის რეჟიმი, რომელსაც ხელმძღვანელობს კურატორი. მას ნიშნავს სკოლის დირექტორი. კურატორს აქვს თავისი ვალდებულებები და მოვალეობები;

4. შრომით კოლექტივს წარმოადგენს დაწესებულების ყველა მუშაკი, რომელთა უფლებამოსილებანი განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით, ამ წესდებით და სხვა მოქმედი კანონმდებლობით.

5. დაწესებულებას მართავს:

5.1. დირექტორი;

5.2. ადმინისტრაცია;

5.3. პედაგოგიური საბჭო;

5.4. მოსწავლეთა თვითმმართველობა;

მუხლი 4. საზოგადოების (კერძო სკოლის) დირექტორი

1. სკოლის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დამფუძნებელი;

2. დირექტორი ვალდებულია, დასახოს სკოლის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები; მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა და უზრუნველყოს მათი შესრულება რესურსების ოპტიმალური გამოყენებით;

3. ვალდებულია, შეაფასოს სკოლის ზოგადი საქმიანობა და დასახოს პრიორიტეტები, სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების გზები და საშუალებები;

4. ვალდებულია, უზრუნველყოს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება;

5. ვალდებულია, ზედამხედველობა გაუწიოს სკოლის განვითარების გეგმის შექმნას, განხორციელებასა და მონიტორინგს;

6. ვალდებულია, შეიმუშავოს სკოლის ბიუჯეტის პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს დამფუძნებელს;

7. ვალდებულია, უზრუნველყოს მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადება და შესრულება.პასუხისმგებელია, როგორც სასწავლო, ასევე ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის დაქირავებასა და მართვაზე, მათთვის ფუნქციების გადანაწილებაზე;

8. უფლებამოსილია, ვადამდე ადრე შეუწყვიტოს მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება პირობების დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურების შემთხვევაში;

9. ვალდებულია, უზრუნველყოს ტრენინგებისა და პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა სკოლის თითოეული პედაგოგისათვის;

10. ვალდებულია, განიხილოს საჩივრები სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით;

11. ვალდებულია, განსაზღვროს, შეიმუშავოს და განახორციელოს სკოლის სასწავლო გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად მიმართულებები, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და განვითარების დონეს;

12. ვალდებულია, შეიმუშავოს და გახორციელოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

13. უფლება აქვს მშობლის ან მშობლების დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში დართოს ნება მათ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მისაღებად;

14. წარმოადგენს დაწესებულებას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას;

15. კანონმდებლობით მიღებული წესით დებს გარიგებებს დაწესებულების სახელით;

16. მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების წესდების საფუძველზე განაგებს დაწესებულების ქონებას და საფინანსო სახსრებს;

17. უფლება აქვს, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით, დანიშნოს სტიპენდიები და გასცეს პრემიები, ჯილდოები, ფინანსური დახმარება შრომითი კოლექტივის ცალკეულ წევრებსა და წარჩინებულ მოსწავლეებზე;

18. ხელს აწერს დაწესებულების საფინანსო დოკუმენტებს;

19. ადგენს შეღავათიანი სწავლების საფასურის პირობებს და იმ მოსწავლეთა სიას, რომლებიც სარგებლობენ შეღავათის უფლებით;

20. უფლებამოსილია, პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით, დაამყაროს კავშირი საგანმანათლებლო, მათ შორის, სხვა ქვეყნების დაწესებულებებთან;

საზოგადოების ხელმძღვანელობისა და საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით ენიჭება ქალატონ ცირა ქასრაძე დაბადებული 1965 წლის 13 აგვისტოს, დაბადებული ლანჩხუთი, პირადი #61001005626, რეგისტრირებული მისამართზე ბათუმი, ზუბალაშვილის 38.

1.წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებია: მანდატურის სამსახური, ვიდეოკამერები ეზოსა და ყველა სართულზე.

2.თვასაჩინო ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

3. ყველა სართულზე თვასაჩინო ადგილზე გამოკრული ევაკუაციის გეგმა.

მუხლი 5. სკოლის ვალდებულებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნათა შესაბამისად განახორციელოს სასწავლო დისციპლინების სწავლება თანამედროვე მეთოდური ხერხებისა და ფორმების გამოყენებით;

2. შექმნას პირობები მოსწავლის ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური სრულყოფისათვის; მოაწესრიგოს სკოლის შენობა და საკლასო ოთახები, დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური წესები;

3. სასწავლო-საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით, სათანადო დონეზე ჩაატაროს ყველა გაკვეთილი, უზრუნველყოს მოსწავლის მიერ მასალის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა;

4. „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის მიხედვით, შექმნას ისეთი პირობები, რომ მოსწავლემ შეძლოს დაიცვას თავისი უფლებები, გამოავლინოს უნარ-ჩვევები, ნიჭი და შრომისმოყვარეობა;

5. მშობლის სურვილის შემთხვევაში, ნება დართოს მოსწავლეს, გადავიდეს სხვა მისთვის სასურველი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის კლასში;

6. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად მოსწავლე წაახალისოს;

7. თუ მოსწავლემ შინაგანაწესის პირობები დაარღვია, გაატაროს სკოლის წესდებით და შინაგანაწესით განსაზღვრული დასჯის მეთოდები.

მუხლი 6. საჯარო დოკუმენტების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა

1. სკოლის საკითხებთან დაკავშირებული საჯარო დოკუმენტების გაცნობა ევალება სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს;

2. ბრძანება, განკარგულება, დადგენილება შესაძლებელია განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას გამოკვრით ან სკოლის ვებ-გვერდზე.

ცირა ქასრაძე

მუხლი7. საფინანსო–ეკონომიური საქმიანობა

სკოლა უფლებამოსილია, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

განახორციელოს შემდეგი :

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) უძრავი ქონების რამე ვალდებულებით დატვირთვა;

გ) ბანკისა და სხვა ორგანიზაციების კრედიტები;

დ) თავდებობა;

ე) საშტატო განრიგისა და ხელფასის განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები დაწესებულების ქონებასთან დაკავშირებით.

8. დაწესებულების დაფინანსების წყაროა

ა) ბიუჯეტიდან გამოყოფილი ერთ მოსწავლეზე გათვლი ვაუჩერული

დაფინანსება;

ბ) სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან (კანონიერ წარმომადგენელთან) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სწავლის გადასახადი;

გ) შემოწირულობები;

დ) საქართველოსკანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

მუხლი 9 .სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სკოლის რეორგანიზაცია შეიძლება მოხდეს დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, თუ იგი არ ეწინააღმდეგება სკოლის მიერ აღებულ ვალდებულებებს;
2. სკოლის რეორგანიზაცია შეიძლება, თუ სკოლის წესდება, ლიცენზია და აკრედიტაციის მოწმობა კარგავს ძალას;
3. სკოლის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის შემთხვევაში, დამფუძნებული უზრუნველყოფს მოსწავლეთა გადაყვანას სხვა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოსწავლეთა მშობლებთან (კანონიერ წარმომადგენლებთან) შეთანხმების საფუძველზე;
4. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სკოლის წესდებაში ცვლილებების შეტანა

დაწესებულების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს კანონით გათვალიწინებული წესის დაცვით.

ამ წესდებისა და კანონის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

წესდების რომელიმე მუხლის ბათილობა არ იწვევს მთლიანი წედების ბათილობას.

წესდება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი წარედგინება სამეწარმეო რეესტრს კანონთ გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის, ხოლო მეორე რჩება დამფუძნებელთან.

საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრულ და გათვალისწინებული წინამდებარე წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

საზოგადოების ელექტრონულ ფოსტად განისაზღვროს: momavali12@gmail.com

დამფუნებელი: ცირა ქასრაძე-

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191051351
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნათია ფაღავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ბათუმი, მელაშვილის ქ. N29
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 (422) 241774
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	99982499128519

საქართველო
ქალაქი ბათუმი
სანოტარო აქტი
ორი ათას ცხრამეტი წლის სამ სექტემბერს, მე, ნოტარიუს ნათია ფაღავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, მელაშვილის ქუჩა N29, მომმართა ქალბატონმა ცირა ქასრაძემ, დაბადებული 13.08.1965წ., მცხოვრები საქართველო, ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა, N38, პირადი №61001005626.
მან წარმოადგინა შპს ,, ბათუმის მომავლის სკოლა"-ის წესდება და მოითხოვა მასზე (მის ყოველ გვერდზე) მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება (დოკუმენტი წარმოდგენილია შვიდ გვერდზე).
მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა, განვუმარტე მას, რომ წესდების შინაარსზე, მასში გადმოცემულ ფაქტებზე, ნოტარიუსი პასუხს არ აგებს და წინამდებარე სანოტარო აქტით დასტურდება მხოლოდ ის, რომ წესდებას ზემოთ აღნიშნულმა პირმა მოაწერა ხელი, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე წესდებას, რასაც ვამოწმებ. დამოწმებულია შვიდი ხელმოწერა წესდების ერთ ეგზემპლარზე.
გადახდილია საზღაური 14,0 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების (22 დეკემბერი 2011წ., №507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 2,52 ლარი, აგრეთვე 2,0 ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა, სულ 18,52 ლარი.

ნ ო ტ ა რ ი უ ს ი _____ ნათია ფაღავა

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



882019759564

განცხადების რეგისტრაციის დრო
16 სექ 2019 14:50

გადახდის ნომერი: **NW 17603028**
განცხადების ნომერი: 17603028
განცხადების მიღების დრო: 16 სექ 2019 14:50

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: მადონა სეფიაშვილი /3-1042559-0 14048499/ ,) რომლითაც მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა ჭავჭავაძე , N 93 / ქალაქი ბათუმი , ქუჩა ჭავჭავაძე/3. აბაშიძე , N 97/34, სართული 6, ბინა N29 (ზონა:ბათუმი, სექტორი: სექტორი 27, საკადასტრო კოდი: 05.27.13.046.01.01.029)

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

დამატებით წარმოდგენილი: (17.09.2019 17:41)

თანხის გადახდის ქვითარი: 105 ლარი

მომსახურების ვადა: 1 დღე.
საფასური: 155 ლარი.

შენიშვნა: ნასყიდობის ხელშეკრულება იხ N 882019759518
მინდობილობა იხ N 892018938067

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

B19099159

გადახდის ნომერი: **EN1841980**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B19099159**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 18/09/2019 09:05:08
განცხადების ნომერი: 1841980
განცხადების მიღების დრო: 18/09/2019 09:04:20

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ცირა ქასრაძე/61001005626/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს მომავლის სკოლა**
საიდენტიფიკაციო კოდი: **445412107**

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- კრების ოქმი

მომსახურება: 1 დღის ვადაში 100 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

1841980
გადახდის ნომერი: **EN1841980**

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **ცირა ქასრაძე**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **61001005626**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **საქართველო, ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა, N 38**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია

დასახელება: **შპს მომავლის სკოლა**
საიდენტიფიკაციო კოდი: **445412107**

შესაცვლელი რეკვიზიტი

- საფირმო სახელწოდების ცვლილება
- წესდების ცვლილება

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- კრების ოქმი

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია

მომსახურება : 1 დღის ვადაში 100 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ ცირა ქასრაძე /

განცხადების წარდგენის თარიღი: 18/09/2019 09:04:20

ქ.ბათუმი | პარტნიორთა კრების ოქმი №2019-02 | 03/09/2019წ

შპს „მომავლის სკოლა“ (ს/კ445412107)

დღის წესრიგი:

1) შპს „მომავლის სკოლა“-ს სახელწოდების შეცვლა.
2) საზოგადოების ელექტრონული ფოსტის ცვლილება.
3) არსებულ წესდებაში ცვლილების შეტანა და წესდების ახალი რედაქციის ჩამოყალიბება.

კრებას ესწრებოდა:

1) შპს „მომავლის სკოლის“ 100%-ანი წილის მფლობელი პარტნიორი ქალბატონი ცირა ქასრაძე (პ#61001005626)

მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეიცვალოს საზოგადოების საფირმო სახელმწოდება და ნაცვლად სახელწოდებისა შპს „მომავლის სკოლა,“ (კერძო სკოლას) ეწოდოს შპს „ ბათუმის მომავლის სკოლა“ (კერძო სკოლა)
2. საზოგადოების ელექტრონულ ფოსტად განისაზღვროს: momavali12@gmail.com
3. შეტანილი იქნას ცვლილება წესდებაში და ახალი წესდება რეგისტრირებული იქნას სამეწარმეო რეესტრში.
4. ეთხოვოს საზოგადოების იურისტს საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებით, საზოგადოების შეუფერხებელი ფუნქციონირების გაგრძელებისთვის საჭირო სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადება.

დამფუძნებელ პარტნიორი:

ცირა ქასრაძე (პ#61001005626) ---------- ---------- ----------

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191051333
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნათია ფაღავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ბათუმი, მელაშვილის ქ. N29
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 (422) 241774
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	13880610763219

საქართველო
ქალაქი ბათუმი
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის სამ სექტემბერს, მე, ნოტარიუს ნათია ფაღავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, მელაშვილის ქუჩა N29, მომმართა ქალბატონმა ცირა ქასრაძემ, დაბადებული 13.08.1965წ., მცხოვრები საქართველო, ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა, N38, პირადი №61001005626.

მან წარმოადგინა შპს „მომავლის სკოლა"-ის (ს/კ 445412107) 2019 წლის 03 სექტემბრის პარტნიორთა კრების ოქმი №2019-02 და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა, განვუმარტე მას, რომ ოქმში გადმოცემულ ფაქტებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე ნოტარიუსი პასუხს არ აგებს და წინამდებარე სანოტარო აქტით დასტურდება მხოლოდ ის, რომ კრების ოქმს ზემოთ აღნიშნულმა პირმა მოაწერა ხელი, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვამოწმებ.

დამოწმებულია ერთი ხელმოწერა გადაწყვეტილების ერთ ეგზემპლარზე.

გადახდილია საზღაური 2,0 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ., №507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 0,36 ლარი, აგრეთვე 2,0 ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა, სულ 4,36 ლარი.

ნოტარიუსი _____ ნათია ფაღავა

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18